პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

19 აგვისტო შაბათი, 1961 წ.

№ 124 (1760)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გროსმაისტერ მ. მ. ბოტვინიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, დიდი სპორტული მიღწევებისა და საბჭოთა საჭადრაკო სკოლის განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოვდეს გროსმაისტერი

მიხეილ მოსეს ძე ბოტვინიკი

შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წ. 16 აგვისტო.

ვიდრე ალამი აღიმართებოდეს

მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადა უკვე მწვავე ბრძოლების ფაზაშია. შეჯიბრებაში ჩაებნენ ფეხბურთელები, კალათბურთელები, წყალბურთელები, მოჭადრაკეები და ა. შ. 22 აგვისტოს მოეწყობა საზეიმო გახსნა. ამ დღისათვის სპორტის რამდენიმე სახეობაში უკვე ცნობილი იქნება ჩემპიონთა სახელები.

ტელეგრამები ბაქოდან!

ქართველმა ფეხბურთელებმა მესამე კალენდარული შეხვედრა ჩაატარეს ესტონეთის გუნდთან და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 5:0. მეოთხე მატჩი მათ უზბეკებთან ჰქონდათ, ამ მატჩამდე ჩვენი გუნდის მეკარეს არცერთი ბურთი არ ჰქონდა მიღებული. ამჯერად უზბეკებმა ქართველ ჭაბუკთა გუნდის კარში შეძლეს ერთი ბურთის გატანა, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა 4 ბურთით უპასუხეს — 4:1. ასე დამთავრდა ეს მატჩი. ჩვენი ფეხბურთელები ინარჩუნებენ ფინალში გასვლის რეალურ შანსებს აზერბაიჯანელებთან ერთად.

16 აგვისტოს დაიწყო ფრენბურთელთა ასპარეზობა. ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდმა პირველ დღეს დაამარცხა ტაჯიკეთის გუნდი — 3:0, გოგონებს ამ დღეს არ უთამაშიათ. ტურნირის მეორე დღეს ქართველმა ჭაბუკებმა კვლავ ისახელეს თავი და დაამარცხეს ლატვიის გუნდი — 3:1, ხოლო გოგონებმა მოიპოვეს პირველი გამარჯვება ყირგიზებთან — 3:0.

ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელ გოგონათა ნაკრები ამ დღეს შეხვდა უზბეკებს. თამაშისათვის განკუთვნილი დრო დამთავრდა ფრედ, ქართველმა სპორტსმენებმა მხოლოდ დამატებით დროში მიაღწიეს გამარჯვებას — 66:63. ძალზე სუსტად გამოიყურებიან ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკი კალათბურთელები. მათ პირველი დღის კალენდარული შეხვედრა უკრაინის გუნდთან წააგეს დიდი ანგარიშით — 45:70. მეორე ტურში როგორც გოგონებმა, ისე ჭაბუკებმა მოიპოვეს გამარჯვებები. გოგონებმა დაამარცხეს ტაჯიკები — 58:33, ხოლო ჭაბუკებმა — თურქმენები 85.35.

საქართველოს წყალბურთელებმა პირველ შეხვედრაში ძლიეს მოლდაველებს—6:1, ხოლო მეორე წრის შეხვედრაში ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს სომხეთის გუნდი.

დიდი წარმატებით დაიწყეს სპარტაკიადა ქართველმა მოჭადრაკეებმა. მათ თავიანთი პირველი შეხვედრები დამაჯერებელი გამარჯვებით დაამთავრეს: ჭაბუკებმა პირველ დღეს დაამარცხეს ტაჯიკები—4,5:0,5, ხოლო გოგონებმა—ამავე რესპუბლიკის გუნდთან 2-დან 2 ქულა მოიპოვეს (სამი პარტია გადადებულია). მეორე ტურში ჭაბუკებმა სომეხ მოჭადრაკეებთან შეხვედრა დაამთავრეს 3:1 თავიანთ სასარგებლოდ (ერთი პარტია გადადებულია მოსაგებ მდგომარეობაში), გოგონებმა კვლავ მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 2:0 (სამი პარტია გადადებულია).

სპარტაკიადა გრძელდება.

ჯ. ენუქიძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსწავლე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. რაჯაბლისა.

დიდი შეჯიბრების შედეგი

დამთავრდა პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადა. მთავარ მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა რესპუბლიკათა ნაკრების, საწარმოო კოლექტივებისა და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების შედეგები. სპარტაკიადის დახურვის საზეიმო ცერემონიალზე, რომელიც სპორტის სასახლეში მოეწყო, საერთო I ადგილის მოპოვებისათვის მთავარი ჯილდო გადაეცა რუსეთის ფედერაციის კოლექტივს.

ჯილდო დამსახურებული იყო. ამ რესპუბლიკის სპორტსმენებმა თავი ისახელეს როგორც ნაკრები გუნდების შეჯიბრებაში, ისე საწარმოო და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების ტურნირში. მეორე ადგილზეა მოსკოვის, მესამეზე — უკრაინის კოლექტივი. საქართველოს სპორტსმენებმა საერთო VI ადგილი დაიმსახურეს. რა შედეგებს მივაღწიეთ ცალკეულ სახეობაში, რა არის ერთი ადგილით უკან გადანაცვლების მიზეზი?

10 წონითი კატეგორიიდან საქართველოს მოკრივეთაგან მხოლოდ ნ. ქიქავამ მიაღწია ნახევარფინალამდე. ეს სპორტსმენი კარგად იყო მომზადებული როგორც ტექნიკურად, ისე ფიზიკურად და მსაჯთა არაობიექტურობა რომ არა, მას შეხვედრა ნახევარფინალში მოგებული ჰქონდა. ასე იყო თუ ისე, მოკრივეთა კოლექტივი წარუმატებლად გამოვიდა და მხოლოდ მეთერთმეტე ადგილით დაკმაყოფილდა.

ტელეგრამები მოსკოვიდან!

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს მძლეოსანთა მაჩვენებლები. თუ ქულათა საბოლოო ჯამს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 71 ათასი ქულით ჩამორჩებით ჩემპიონს — მოსკოვის გუნდს და 22 ათასი ქულით ჩვენს ძირითად კონკურენტს კომპლექსურ ჩათვლაში — ბელორუსიის ნაკრებს. გუნდს ჩათვლა ვერ მისცეს წამყვანმა სპორტსმენებმა — დარახველიძემ, ალექსანდროვამ, იევლევამ, დავოვმა, თოფჩიშვილმა, ჩადუნელმა და სხვებმა.

ცუდად გამოვიდნენ „ისნის" მძლეოსნები. მათ ბოლოსწინა — მე-16 ადგილი დაიკავეს, რაც გუნდის არასწორი დაკომპლექტებითაც იყო გამოწვეული. მათ არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მძლეოსნები ჩამორჩნენ და მეთორმეტე ადგილით დაკმაყოფილდნენ უმაღლეს სასწავლებელთა ჯგუფში.

წყალში მხტომელები ორ დღეს ამაოდ ხტებოდნენ ტრამპლინიდან და კოშკიდან, ჩასათვლელი ქულები კი არ ჩანდა. მხოლოდ მესამე დღეს მიიღო ორმა სპორტსმენმა კოშკიდან ხტომაში ჩათვლა. ეს იყო და ეს. ქალთა გუნდების სუსტმა მომზადებამ განაპირობა როგორც ნაკრების, ისე ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოცურავეთა ჩავარდნა. მათგან მთელი შეჯიბრების მსვლელობაში ერთი სპორტსმენიც კი არ მოხვედრილა ათეულში, ზოგ გაცურვაში კი მონაწილეც არ გვყავდა.

წინასწარი შეხვედრების დროს ბევრის მთქმელი იყო ნიჩბოსანთა მაჩვენებლები, 7 ნავი გავიდა ფინალში, მაგრამ აქ ისინი აშკარად ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეებს და ორი გამონაკლისის გარდა უკანასკნელი ადგილებით დაკმაყოფილდნენ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გუნდში მოიკოჭლებდა დისციპლინა. ბათუმელმა ლომთათიძემ და მისმა მწვრთნელმა ჩუპრინმა შეჯიბრების დღეს წესრიგი დაარღვიეს და ამისთვის კოლექტივიდან გარიცხეს, მაგრამ ეს შედეგს არ შველის.

აი მხოლოდ ამ სახეობათა წარმომადგენლების კისერზეა საქართველოს დელეგაციის წარუმატებლობა, სწორედ ამის შედეგად საერთო V ადგილი ბელორუსიის გუნდს დაუთმეს.

თავისუფალ ჭიდაობაში გუნდმა ყველაფერი გააკეთა წარმატებისათვის. კარგად ჩაატარა შეხვედრები ზ. შეყრილაძემ, რომელმაც მოიპოვა ჩემპიონობა, თავის წონაში II ადგილზე გამოვიდა ზ. ბერიაშვილი. III ადგილებზე არიან: ჯ. დავლიანიძე, ტ. ხითარიშვილი. გუნდმა დაიკავა II ადგილი. მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ კლასიკური მოჭიდავეები, რომლებმაც რესპუბლიკას მხოლოდ ერთი პრიზიორი ო. ეგაძე (II ადგილი) მისცეს.

ქების ღირსნი არიან ტანმოვარჯიშეები. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა II ადგილი მოიპოვეს სტუდენტთა კოლექტივებს შორის, ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ტანმოვარჯიშეებმა IV ადგილი დაიკავეს. სამი სპორტსმენი გახდა პრიზიორი ცალკეულ იარაღებზე, მათ შორის ჯ. ფრიდონიშვილმა ტაიჭზე ვარჯიშში მოაგროვა 28,25 ქულა და ოქროს მედალი დაიმსახურა, იგი VI იყო ხტომებში. რგოლებზე ვარჯიშში მეორე ჯილდო მიიღო განთიადელმა ი. აივაზიანმა. ძელზე ვარჯიშში III და IV ადგილები დაიკავეს გ. მეტრეველმა და ი. ბადიაურმა.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს აღსანიშნავია ფრენბურთელ ვაჟთა გუნდის მიერ III ადგილის, ხოლო ველოსიპედისტ ქალთა 50 კმ-ზე გუნდურ რბოლაში IV ადგილის დაკავება.

ო. გელაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ჯილდოები წარჩინებულებს

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა უმაღლესი მიღწევებისათვის სამახსოვრო სპორტული მედლებით დააჯილდოვა:

ვ. ბრუმელი — სიმაღლეზე ხტომაში ნაჩვენები შედეგისათვის — 2 მ. 17 სმ, 1960 წლის 13 აგვისტოს.

რ. შავლაკაძე — სიმაღლეზე ხტომაში ნაჩვენები შედეგისათვის — 2 მ. 16 სმ, 1960 წლის 31 აგვისტოს.

ვ. ლიპსნისი — ბირთვის კვრაში ნაჩვენები შედეგისათვის — 18 მ. 49 სმ, 1960 წლის 19 ივნისს.

ვ. ოვსეპიანი — ბირთვის კვრაში ნაჩვენები შედეგისათვის — 18 მ. 88 სმ, 1960 წლის 28 ოქტომბერს.

ე. ოზოლინა — შუბის ტყორცნაში ნაჩვენები შედეგისათვის — 59 მ. 55 სმ, 1960 წლის 4 ივნისს.

ტ. შჩელკანოვა—სიგრძეზე ხტომაში ნაჩვენები შედეგისათვის — 6 მ. 48 სმ, 1961 წლის 16 ივლისს.

ვ. კრეერი—სამხტომში ნაჩვენები შედეგისათვის — 16 მ. 71 სმ, 1961 წლის 25 ივნისს.

ი. კუტენკო — ათჭიდში ნაჩვენები შედეგისათვის — 8127 ქულა, 1961 წლის 29 მაისს.

3:1

გუშინ ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ლენინგრადის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. მატჩი დამთავრდა ლენინგრადის ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 3:1.



XXII ყრილობის პესატვეცრაკ

— მთელი საბჭოთა ხალხი დიდი შრომითი და შემოქმედებითი აღმავლობით ხვდება კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას, ჩვენც უნდა ვთქვათ ჩვენი პიონერული სიტყვა დიადი თარიღის აღსანიშნავად, — თქვეს ელექტრომრეწველობისა და ელექტროსადგურების პროფკავშირების მახინჯაურის პიონერთა ბანაკის ფიზკულტურელებმა და სიტყვა საქმედ აქციეს.

ფიზკულტურის ინსტრუქტორის ო. კაკულიას ხელმძღვანელობით ოთხმოცმა ნორჩმა ტურისტმა მოაწყო პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი ლაშქრობა მარშრუტით—მახინჯაური-სოფელი ზედაგანთიადი - ქვედაგანთიადი-ბავშვთა სახლი-მახინჯაური.

მოლაშქრეები გზადაგზა ეცნობოდნენ კოლმეურნეობების მუშაობას და აქტიურ დახმარებას უწევდნენ სახალხო დოვლათის შემქმნელებს ჩაის — „მწვანე ოქროს" კრეფაში.

მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია ნორჩ მოგზაურთა მწკრივი, მარცხნივ კი კოლმეურნეობის კულტურის სახლთან სახელდახელოდ გამართულ ტურნირში თავიანთ ძალებს ცდიან ნორჩი მოჭადრაკეები ხ. ფორჩხიძე და ნ. ცომაია.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

მაღალი კლასის ფეხბურთელის აღზრდისათვის

ჩვენში რატომღაც ასეთი უხეირო წესი დამკვიდრდა: „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა დუბლიორებს ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ, გულშემატკივრები უხალისოდ ესწრებიან მათ შეხვედრებს და სათადარიგო შემადგენლობას პრესაშიც ნაკლები ადგილი ეთმობა. ეტყობა, მთელი საქმე იმაშია, რომ დუბლიორები არ წყვეტენ გათამაშების მთავარ პრობლემებს და ჩვენც, როგორც წესი, ძირითადი შემადგენლობის ინტერესებითა ვართ გარემოცული.

რეზერვების საქმე კი, პირდაპირ უნდა ითქვას, სახარბიელოდ ვერა გვაქვს. „დინამოს" დუბლიორთა თამაში ერთობ უსიამოვნო, მდარე შთაბეჭდილებას ტოვებს. საქმე მხოლოდ მატჩების ტექნიკურ შედეგებზე არაა, მთავარია. ჩანდეს პერსპექტივა. აი, აქ კი ბევრი რამაა საგანგაშო.

დუბლიორთა გუნდი არ თამაშობს როგორც ახალგაზრდული კოლექტივი, არამედ ხანშიშესულ, მობერებულ ფეხბურთელებსა ჰგვანან, თუმცა თუ მათ ჩვენს ვეტერანებს შევადარებთ, ეს უკანასკნელნი გაცილებით უფრო მეტი ენერგიით, მონდომებითა და ახალგაზრდული ტემპერამენტით თამაშობენ ხოლმე თავიანთ შეჯიბრებებში.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას დუბლიორთა თამაშის ტაქტიკა, ისინი პრიმიტიულად ბაძავენ უფროსებს. ახალგაზრდა ფეხბურთელთაგან ჩვენ ველით სიახლეებს, სიხალისეს, ტემპერამენტს, გამომგონებლობას. შეიძლება ყველაფერი ეს ნედლი და დაუმთავრებელი იქნეს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. გავა დრო და ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელიც სისტემატურად მუშაობს თავის თავზე, ეძებს ახალს, პროგრესულს, საიმედოდ დადგება ფეხზე.

ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელთა სუსტ ზრდას მიაწერენ მათს უნიჭობას, უპერსპექტივობას და ამასთან უყურადღებოდ ტოვებენ მთავარ საკითხს — თუ რა პირობებში ხდება დუბლიორთა აღზრდა.

რა თქმა უნდა, არავინაა იმის წინააღმდეგი, რომ უპერსპექტივო ფეხბურთელები განთავისუფლდნენ გუნდის შემადგენლობიდან. მართლაც, რა აზრი აქვს იყოლიო ოსტატთა გუნდში ფეხბურთელი, რომელიც ვერასოდეს ვერ გაიზრდება ოსტატად. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ადრე შერჩეულ ფეხბურთელთა მზადება „დინამოს" გუნდში წლების მანძილზე მიმდინარეობს ზერელედ და ფეხბურთელთა განთავისა ხდება ნაუცბათევად, აღზრდის ყველა საშუალებათა გამოყენების გარეშე.

არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ დუბლიორთა გუნდში მეტისმეტად ხშირად აქვს ადგილი დენადობას. აქ ხშირად ასე ხდება: აიყვანენ ახალგაზრდებს, რომლებზეც დიდ იმედებს ამყარებენ, მაგრამ მცირე ხანს შემდეგ ირკვევა, რომ გუნდი თამაშობს ცუდად, აგებს მატჩებს, მაშინვე იწყება მოთამაშეთა მასობრივი განდევნა გუნდიდან და ახალი „ტალანტების" ძიება. ამის შედეგად დუბლშემადგენლობაში ყოველწლიურად უსარგებლოდ იცვლება მოთამაშეთა 50-60 პროცენტი. ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ ერთხანს ი. დათუნაშვილიც კი იყო განთესვის კანდიდატი და ამის შედეგად ჩვენ შეიძლება კარგი ოსტატი დაგვეკარგა.

ვთქვათ, რომელიმე ჭაბუკი თამაშობს რომელიმე გუნდში, სადაც იგი წამყვანი ფეხბურთელია. იგი აქ თამაშობს თავისუფლად, დაუძაბავად, იჩენს შემოქმედებითს ორიგინალობას, მისი სპორტული ოსტატობა დღითი-დღე იხვეწება და ვითარდება. ერთ მშვენიერ ღღეს ამ ჭაბუკს „პოულობენ" და მიჰყავთ დუბლიორთა გუნდში. ჭაბუკის სიხარულს საზღვარი არა აქვს, მის ოცნებას ფრთები ესხმება, მაგრამ იწყება პირველი მეცადინეობა და ნორჩი ფეხბურთელი პირველ წინააღმდეგობებს ხვდება. ეს უკვე არაა წამყვანი მოთამაშე, მას არა აქვს ინიციატორობის საშუალება. იგი ჩრდილში დგას.

სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობათა პირობები ახლა უკვე სულ სხვაა, განსხვავებულია მოთხოვნებიც. ჭაბუკი თითქოს უცხოობაში იმყოფება და სტუმრადაა. იგი ივიწყებს თავის „მეს" და იძულებულია შეეგუოს მწვრთნელის საერთო მოთხოვნებს. დიდი განსხვავებაა ახალ კოლექტივშიც: აქ ყველა იბრძვის საკუთარი თავისათვის და საკუთარ ინტერესებს იცავს, თითქოს რაღაც უაღრესად მკაცრი საგამოცდო სესია მიმდინარეობს. ახალმოსული ასეთ ვითარებაში შეშფოთებულია, ზედმეტად ცდილობს და კარგავს თავის სითავისუფლესა და დაუძაბავობას.

ასეთი ფეხბურთელი ფაქტიურად ახალ ნიადაგზე გადანერგილი ყლორტია, რომელიც ვერ გაიფურჩქნება, თუ არ გააჩნია ხასიათის საკმარისი სიმტკიცე და შეგუების უნარი.

მხოლოდ გამოცდილ მებაღეს შეუძლია მოუაროს ასეთ ნერგებს: თვითეულ მათგანს სჭირდება განსაკუთრებული, ინდივიდუალური მიდგომა და ასეთი მებაღის, უკეთ რომ ვთქვათ, მწვრთნელის დანაკარგი მინიმუმია.

არ შეიძლება ახალგაზრდა ტალანტებს მივუდგეთ ერთი და იგივე შაბლონით. რა გამოვა ნორჩი ფეხბურთელისაგან, თუ მას მოვუსპეთ ინიციატივის გამოჩენის საშუალება, თუ თვითეულ მათგანს მოვკვეთეთ მისი განმასხვავებელი ნიკი და მოვუსპეთ ინდივიდუალური მონაცემების ზრდის საშუალება.

•

რა დასამალია, ჩვენს სინამდვილეში ასეთ ფაქტებს ჰქონია ადგილი: გაუშვებ გუნდიდან ახალგაზრდას და მცირე ხნის შემდეგ ხედავ რომ ამ „უნიჭო" ფეხბურთელისაგან იზრდება უმაღლესი კლასის „ვარსკვლავი". ირკვევა, რომ ჭაბუკი თვითონ ვარჯიშობდა მთელ თავის თავისუფალ დროს, სადაც არავინ უშლიდა ხელს მისი თავისებური, „ჭირვეული" ხასიათის ჩამოყალიბებას. მთელი საქმე კი იმაშია, რომ ჭაბუკი ადრე ვერ შეეგუა მწვრთნელთა მონოტონურ ჰანგებზე ცეკვას.

ტალანტი სწორედ იმიტომაა ტალანტი, რომ იგი არა ჰგავს სხვებს და ინდივიდუალური მონაცემები გააჩნია.

მწვრთნელის უაღრესად მძიმე შრომა რთულდება კიდევ იმით, რომ ჭეშმარიტად ნიჭიერი, მონდომებული ფეხბურთელების გვერდით მას უხდება მუშაობა ისეთებთანაც, რომლებიც საქმეს მხოლოდ თავიანთი პირადი პოზიციებიდან უყურებენ. ასეთთა შორის არიან დისციპლინის დამრღვევები, არიან ისეთებიც, ვისაც ფეხბურთი სჭირდებათ უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად და იქ სხვადასხვა სახის შეღავათების მისაღებად. ასეთებს, როგორც წესი, უთანხმოება შეაქვთ კოლექტივში. აი, მაგალითად, დუბლის ერთ-ერთი მოთამაშე რ. წოწორია. რამდენჯერ დაარღვია ამ ფეხბურთელმა წესრიგი და ამ დარღვევებს ბოლო არ უჩანს.

უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს. ჩვენ ზოგჯერ ზედმეტ სირბილეს ვიჩენთ ახალგაზრდა ფეხბურთელთა მიმართ და პრივილეგირებულ პირობებს ეუქმნით მათ, ხოლო ასეთ მდგომარეობაში ფეხბურთელები კი ბოროტად იყენებენ ამ ყურადღებას.

„სათბურის პირობებში" მყოფი ფეხბურთელი ეჩვევა სულმოკლეობას, უნებისყოფობას, უპრინციპობას და ზოგიერთ მათგანს მეჩნია, რომ „დინამოს" გუნდი ესაა სანატორიუმი, სადაც დღეში ორიოდე საათი შეიძლება გაერთო ბურთის თამაშით.

ჩვენს გუნდს სათავეში უდგანან წარსულში პოპულარული ფეხბურთელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები შოთა შავგულიძე და ავთანდილ ღოღობერიძე, ისინი „დინამომ" აღზარდა. აბა ჰკითხეთ მათ, რამდენი გაჭირვების, გაწბილებისა და სიძნელეთა გადატანა დასჭირდა დინამოელთა ძველ თაობას, რომ მიეღწია უმაღლესი სპორტული ოსტატობისათვის და მოეხვეჭა საყოველთაო სიყვარული. ბევრს საინტერესოს მოგიყვებიან ისინი იმ დიდი ბრძოლის წარსულიდან, რომელმაც ქართული ფეხბურთი გაიყვანა საერთაშორისო სარბიელზე.

ახლა აიღეთ მეორე მაგალითი. ი. იაშვილი „ახალგაზრდობისას" დიდ იმედებს იძლეოდ[ა] შეიძლება უფრო მეტ[ი] ვიდრე სხვები. მას შ[ე]სანიშნავ მომავალს უქადდ[ნ]მის მიმართ იჩენდნენ ზედ[მ]„მზრუნველობას" და აი შედეგ[ი] წლები გადის, იაშვილის პროგ[რ]სი კი არ ჩანს.

მე ძველი დინამოელი ვარ [...] კარგად ვიცი, თუ რა ტრადიც[ია] არსებობდა ამ გუნდში ახალგაზ[რ]და მოთამაშეთა აღზრდის საქმ[ეში]. მაგრამ მეტად სამწუხარო იქნ[ება], თუ ამ ტრადიციებიდან მცირე რ[ა]მაინც დაიკარგება. ამის ნიშნები [...] სამწუხაროდ, არის.

მხოლოდ სიძნელეების დაძ[ლ]ვით შეიძლება სრულფასოვ[ანი] სპორტსმენის აღზრდა, მხოლ[ოდ] ამით იწრთობა მისი ნებისყოფა [...] ვაკაცობა. თუ ეს სიძნელეები [...] იქნა, ბრძოლისუნარიანი ფეხბურ[თ]ელის ნაცვლად მივიღებთ ფუ[ჭ]ნებას შეჩვეულ ნებიერ ახალგაზ[რ]დას, რომელიც პირველივე გაჭ[ირ]ვებისას დაიხევს უკან.

თანამედროვე ფეხბურთი [...] ზარდა იმდენად, რომ არც ერ[თ]წუთით არ შეიძლება ძველი მ[ა]გის იმედით ყოფნა. წამიერი [...] ყოვნება ახლა უკან დახევას ნ[ი]ნავს. თვითეულმა კოლექტივმა [...] ნიგრულად, რაციონალურად [...] გამოიყენოს მთელი თავისი [...] საძლებლობანი, თვითეულმა [...] განმა უნდა ეძებოს ახალი გ[ზ]ა შემდგომი სრულყოფისათვის.

ბავშვებს მაქსიმალურად [...] მივაწოდოთ ცოდნა, ვასწავლოთ [...] რაც აუცილებელია, მაგრამ არ[ა]თარ შემთხვევაში არ შეიძ[ლ]მათთვის შაბლონის მოხვევა [...] ზე. ყოველი ბავშვი, ნორჩი [...] ბურთელი ინდივიდუალურ [...] თეულს წარმოადგენს და [...] ზრდაც ამ მიმართულებით [...] წარმოებდეს.

სწორედ ამიტომაა საკ[...] მწვრთნელებმა გამოიჩინონ [...] ლისხმიერება და ყურადღება. [...] არ უნდა გამოეპაროთ არც ერ[თ]დეტალი ნორჩი ფეხბურთელ[ი] დაოსტატების რთულ საქმეში. [...] ლოდ ასე შეიძლება ღირსეული [...] ზერვების აღზრდა ქართული ფ[ეხ]ბურთისათვის.

ა. გალაკერინ[ი]

სპორტის დამსახურებული [...] ტატი.

დღიურები კავკასიონიდან

თბილისი „ლელო“

ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის ექსპედიციის საკონკურსო ასვლების ერთმა ჯგუფმა შ. მირიანაშვილის, ს. ხაბეიშვილის, ი. ყაველაშვილის, გ. მანაგაძისა და ვ. თევდორაშვილის შემადგენლობით ხუთი დღის იერიშის შემდეგ დაძლია ჯერ გაუვალი ჩათინის მწვერვალის ტექნიკურად ურთულესი სამხრეთის კედელი. 15 აგვისტოს მთამსვლელები მწვერვალზე იყვნენ.

★

ალპინისტთა მეორე ჯგუფი დ. ობოლაძის, გ. ჯაფარიძის, გ. დევიძის, ვ. კვაჭაძის, ვ. გაბელაშვილისა და ი. ბერუაშვილის შემადგენლობით აგრძელებს დიდ რთულ ტრავერსს. გავლილია მაზერის მასივის ორი მწვერვალი, სამხრეთ და ჩრდილოეთის უშბა და 16 აგვისტოს შეუდგნენ შხელდის იერიშს.

ა. ივანიშვილი,

სსრკ დამსახურებული ოსტატი.

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სამი წრის შემდეგ

გორში დაიწყო საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი ინტერესით სარგებლობს იგი აქ, სპორტის ამ ეროვნული სახეობის ერთ-ერთ წამყვან კერაში, რომელიც უდიდესი ტრადიციებითაა ცნობილი. შეჯიბრებისადმი ინტერესს ზრდის ისიც, რომ მან მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა მიიზიდა როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. 150-მდე მოჭიდავე იცავს რესპუბლიკის 18 ქალაქისა და რაიონის სპორტულ ღირსებას, რომელთაგან 16 მეტად თუ ნაკლებად სრული გუნდებითაა წარმოდგენილი.

მაგრამ, მხოლოდ მონაწილეთა რაოდენობით არ არის ღირსშესანიშნავი ეს პირველობა. აქ, თითქმის ყველა წონაში, თავმოყრილია პირველობის პრეტენდენტთა ისეთი ძლიერი შემადგენლობა, რომ ბრძოლა პირველიდან უკანასკნელ წრემდე ერთნაირად დაძაბული, ერთნაირად საინტერესო და მოულოდნელობებით სავსე იქნება. ასე მაგალითად, მჩატე წონაში ხუთი ფავორიტია, რომლებმაც პირველ ორ წრეში მიიღეს მხოლოდ ერთი, ზოგმა კი — არც ერთი საჯარიმო ქულა: გორელი ბ. მაისურაძე, თბილისელები ნახუცრიშვილი და პაპუაშვილი, მცხეთელი ვალიშვილი, რუსთავისა და გორის რაიონის წარმომადგენლები მეტრეველი და ჯანგობეგოვი, აქვეა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, კასპელი სპორტის ოსტატი ლ. კაციაშვილი, ქვემსუბუქ წონაში თავი მოიყარეს თბილისელმა პეტრიაშვილმა, გორელმა რომელაშვილმა, ზესტაფონელმა ჯანიაშვილმა, ახმეტელმა ქოჩიშვილმა, ქვემძიმეში — გორელებმა ბერუაშვილმა, ქიბროწაშვილმა, კასპელმა ლ. ვარდოშვილმა და თბილისელმა ჯაფარიძემ, მძიმე წონაში — კიკნაძემ, ფ. ჩიკვილაძემ (ორივე — თბილისი), ა. ვარდოშვილმა (კასპი), ნ. ყაჩმაზაშვილმა (გორი) და ა. შ.

ორთაბრძოლები დაიწყო და თავიდანვე — სიურპრიზებით. ამ სიურპრიზებიდან ერთ-ერთი პირველი და ყველაზე მძაფრი იყო მჩატე წონაში ქართული ჭიდაობის ვეტერან ლ. კაციაშვილის დამარცხება ახმეტელ მწარიაშვილთან, რომელმაც დიდი აღმავლობით და შემტევ სტილში ჩაატარა მთელი შეხვედრა. ქვემსუბუქ წონაში რუსთავის წარმომადგენელ ტრანკაძესთან ბრძოლაში უცბად ორივე ბეჭზე აღმოჩნდა გასული წლის ჩემპიონი მ. ელერდაშვილი (საგარეჯო), ხოლო მომდევნო წონით კატეგორიაში მისი ბედი გაიზიარა გორელმა შ. რომელაშვილმაც, რომელიც შეტევით გაერთო და მოუმზადებელი დახვდა მეტოქის — ახმეტელ ქოჩიშვილის კონტრილეთს.

თუმცა მოულოდნელობათა რიცხვს არ მიეკუთვნება ახალგაზრდა და მზარდი მოჭიდავის, ამჟამად თბილისელი დ. ესებუას წარმატებები, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს გორის რაიონის წარმომადგენელ ხანიშვილთან მისი ლამაზი გამარჯვება. იმ 30 წამის განმავლობაში, რაც ეს შეხვედრა გაგრძელდა, ესებუამ სწრაფ შემტევ სტილში მოასწრო რამდენიმე ფანდის ჩატარება და ბოლოს მშვენიერი კისრულით დასცა ბეჭებზე მოწინააღმდეგე. სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა აღინიშნოს: ბოლო ხანებში ხშირად გამოითქმოდა წუხილი და საყვედურები იმის გამო, რომ ქართული ჭიდაობის ტექნიკური არსენალიდან იკარგება ისეთი ეფექტური და შედეგიანი ფანდი, როგორიცაა კისრული, რომ მას თითქმის ვერც ერთი მოჭიდავე ვერ ხმარობს ორთაბრძოლაში. მიმდინარე შეჯიბრება ამ მხრივაც სასიხარულო გამონაკლისი აღმოჩნდა. დ. ესებუას გარდა კისრული მეტისმეტად კარგად განახორციელა საშუალო წონის დუშელმა მოჭიდავემ — წოწინაშვილმა და მისი მეოხებით წმინდა გამარჯვებაც მოიპოვა 10 წამში აჭარელ ჯინჭარაძეზე. იგივე ფანდი შეგვხვდა ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეთა — გაროზაშვილისა (აჭარა) და კირვალიძის (ახმეტა) შეხვედრაში, რომელიც საერთოდ მძაფრი საინტერესო ბრძოლითა და ორმხრივი იერიშებით ჩატარდა.

ამ შეჯიბრებას კიდევ აქვს ერთი თავისებურება, რომელმაც ზემოაღნიშნულ სიურპრიზებშიც იჩინა თავი. ესაა ჯერ სრულიად უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ახალგაზრდობის შეტევა წამყვან მოჭიდავეთა პოზიციებზე. ამ გარემოებამ მიმდინარე პირველობაში მრავლის აღმთქმელ სპორტსმენებად გამოავლინა: უმჩატეს წონაში — ბუზალაძე (დუშეთი), კირაკოზაშვილი (საგარეჯო), მჩატეში — ვეფხვაძე (დუშეთი), ტრანკაძე (სამხრეთ ოსეთი), ლეჟავა (აჭარა), მეტრეველი (რუსთავი), ქვემსუბუქში — იმხანიშვილი (თბილისი), მსუბუქში — თაბუაშვილი (რუსთავი), ქვემძიმეში — ლ. ვარდოშვილი (კასპი) და სხვ.

ცალკეული ორთაბრძოლებიდან ზემოაღნიშნულთა გარდა კიდევ უნდა აღინიშნოს რამდენიმე. კერძოდ, დიდი სიამოვნება განაცდევინა მაყურებლებს ბუკულოვისა (სამხრეთ ოსეთი) და გოჩიაშვილის დინამიურმა ჭიდაობამ, რომელშიც ხან ერთი მხარე წინაურდებოდა ქულებით, ხან მეორე. ბოლოს, უკანასკნელ მე-5 წუთზე ბუკულოვმა განახორციელა გდება, რომელმაც მას წმინდა გამარჯვება მოუტანა. ასეთივე დრამატული იყო მსუბუქ წონაში ჯანიაშვილისა (ზესტაფონი) და თაბუაშვილის (რუსთავი) შეხვედრის შედეგი: პირველს დამაჯერებლად მიყავდა ჭიდაობა რამდენიმე ქულის განსხვავებით, მაგრამ თაბუაშვილმა მაინც მოახერხა კარგი მოგვერდის ჩატარება და წმინდა გამარჯვებაც მოიპოვა. ქვემძიმე წონაში კენჭისყრამ პირველივე წრეში შეახვედრა ერთმანეთს მთავარი ფავორიტები — ბერუაშვილი და ქიბროწაშვილი. მეტად ფრთხილ ბრძოლაში ბერუაშვილმა მოიპოვა მხოლოდ სიმბოლური გამარჯვება, რაც მისი ოდნავ უფრო მეტი აქტივობის შედეგი იყო.

საერთოდ შეჯიბრების მსაჯობა ამჯერად მაღალ დონეზე წარმოებს, მაგრამ მჩატე წონაში მეტრეველისა (რუსთავი) და ნახუცრიშვილის (თბილისი) მეტად საინტერესო შერკინება ცუდად დაგვირგვინა არასწორმა გადაწყვეტილებამ თბილისელის სასარგებლოდ.

შეჯიბრება გუშინ დამთავრდა.

შ. ჯულელი,

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

„ვინ გადაძლევს“ — ეჯიბრებიან ერთმანეთს შესვენების საათებში ქარხანა „ელექტრომძრავის“ მუშები. ფოტო გ. თარალაშვილისა.

განვლილია ტურნირის ნახევარი

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის VIII ტურში ყურადღების ცენტრში იყო გურგენიძის შეხვედრა ტურნირის ერთპიროვნულ ლიდერ მოსიონჟიკთან. ესპანურ პარტიაში კიშინიოველმა მოჭადრაკემ მეტად მწვავე გაგრძელება აირჩია, რომელშიც შავები სწირავენ პაიკს სწრაფი განვითარებისათვის. გურგენიძემ მიიღო გამოწვევა.

— არ უნდა გაეცვალა გურგენიძეს ლაზიერები, — ამბობდნენ სხვა მოჭადრაკეები, როცა მან თამაში დაბოლოებაში გადაიყვანა, — იგი მეორე პაიკს იგებდა.

— მართალია, — გვიპასუხა პარტიის შემდეგ თვითონ გურგენიძემ, — ლაზიერების გაცვლით ნაწილობრივ განვმუხტე მდგომარეობა, პაიკიც შევინარჩუნე, რადგან ასე ნაკლებად სახიფათო მომეჩვენა.

მოსიონჟიკმა უმალვე ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და მეორე პაიკის დათმობით აქტიური თამაში წარმართა. გურგენიძე იშვიათი სიმტკიცით იცავდა თავს, ამარტივებდა პოზიციას. ბოლოს თამაში მხედრების ენდშპილში გადავიდა, სადაც გურგენიძე ინარჩუნებს ერთ ზედმეტ პაიკს და მოგების რეალურ შანსებს.

არანაკლებ მწვავედ მიმდინარეობდა კლოვან-ბუსლაევის პარტია. ჩრდილოეთის გამბიტში ბუსლაევმა უკვე მე-3 სვლაზე 40 წუთი იფიქრა, ხოლო მე-15 სვლისათვის ცაიტნოტში აღმოჩნდა. ამ დროისათვის პოზიცია თანაბარი იყო.

— ყაიმი გნებავთ? — შესთავაზა თბილისელმა კლოვანს.

რიგელმა შეხედა ბუსლაევის საათს, რომელზეც ორიოდე წუთი იყო დარჩენილი, და უპასუხა:

— გავაგრძელოთ თამაში.

რასაკვირველია, ბუსლაევი ჩქარობდა, რათა მოესწრო ყველა სვლის გაკეთება. დაუშვა შეცდომა, წააგო ფიგურა და მყისვე დანებდა.

ლომაიამ კარგ სტილში მოუგო არაქელოვს. ჰალილბეილიმ დაამარცხა ანოხინი, როიზმანმა — უსტინოვი და ნეიმ — კალანტარი. ყაიმით დამთავრდა გრუშევსკი-გიპსლისის, პავლენკო-ბაგიროვისა და ზახარიან-პრესის პარტიები.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს შედგა ხუთი დაუმთავრებელი და გიპსლის-გურგენიძის გამოტოვებული პარტია.

ესპანურ პარტიაში გურგენიძემ გაითამაშა ჩიგორინის სისტემა. გიპსლისმა გამოიყენა მოდაში შემოსული ვარიანტი ლაზიერის ფრთაზე აქტიური თამაშით. შეიქმნა გამხოლოებული პაიკი, რომლის გარშემორტყმას შეუდგა ლატვიის ჩემპიონი. მაგრამ გურგენიძემ ფიგურების სწრაფი გადაჯგუფებით მძაფრად შეუტია გიპსლისის მეფეს. კუს შეწირვით ორ პაიკში მან მეფე გარიყა. მიუხედავად ამისა, მაინც არ ჩანდა დაშამათების გზები. ამიტომ გურგენიძემ მეორე კუს შეწირვით, მუდმივი ქიშით — ყაიმით დაამთავრა ეს საინტერესო შეხვედრა.

გრუშევსკიმ მოუგო კლოვანს, უსტინოვმა — პავლენკოს, ჰალილბეილიმ — კალანტარს. ლომაიას თამაშის განუახლებლად დანებდა ნეის, ხოლო ბუსლაევი-გრუშევსკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

VIII ტურის შემდეგ ლიდერებში არიან მოსიონჟიკი — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია, როიზმანი, კლოვანი — 6 ქულა თვითეულს, ბაგიროვი, გიპსლისი — 5,5 ქულა თვითეულს, ნეი — 5 ქულა, გურგენიძე — 4,5 ქულა და ორი მოსაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია, ლომაია — 4,5 ქულა. ბუსლაევს მხოლოდ 3 ქულა აქვს.

ფრუნზე. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ალგა“ და რუსთავის „მეტალურგი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

რაიონული თასის გათამაშება

დამთავრდა რაიონული თასის გათამაშება ფეხბურთში ძირეულ-ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, რომელშიც 15 კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა.

გამარჯვება მოიპოვა აბაშის მექანიკური ქარხნის გუნდმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი.

მ. ჩაჩავა

მამები და შვილები

გერმანული ჟურნალი „ფუსბალვოხე“ ათავსებს წერილების ციკლს სათაურით „მამები და შვილები“. ციკლი მოგვითხრობს „საფეხბურთო ოჯახების“ შესახებ ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი ჰ მახაჩეკი მკითხველებს მოუთხრობს გამოჩენილი ფეხბურთელის გ. ფედოტოვისა და მისი ვაჟის ვ ფედოტოვის შესახებ.

ჟურნალის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია წერილი ზეელერების ოჯახის შესახებ. მამა, ე. ზეელერი, თავის დროზე გამოჩენილი ცენტრფორვარდი იყო, ხოლო ამჟამად ჰამბურგის გუნდის — „ალტონას“ მწვრთნელია. სახელი გაითქვეს მისმა ვაჟებმაც. დ. ზეელერი „ჰამბურგელ შპორტფერაინის“ წამყვანი ნახევარმცველია და ამ პოსტზე ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება გფრ-ში. კიდევ უფრო მაღალი კლასის მოთამაშეა უმცროსი ძმა უ ზეელერი. იგი შედარებით ახალგაზრდაა (დაიბადა 1936 წელს), მაგრამ უკვე კარგა ხანია ითვლება თანამედროვეების ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრფორვარდად. მან დიდი მოწონება დაიმსახურა 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში და მას შემდეგ უ. ზეელერი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდასხმის უცვლელი ლიდერია. იშვიათია ისეთი თამაში, რომ მან გოლი არ გაიტანოს. მრავალი სპეციალისტი მას მიიჩნევს დი სტეფანოს უახლოეს მეტოქედ მსოფლიოს უძლიერეს ცენტრფორვარდის პოსტზე.

ამჟამად უ. ზეელერი მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატისათვის ემზადება. ყუმბარისებური დარტყმები, მდიდარი ტექნიკა და სისწრაფე — აი ამ ფეხბურთელისათვის დამახასიათებელი ნიშნები. სხვა „პრემიერებისაგან“ განსხვავებით, რომლებიც მინდორზე ნაკლებად მოძრაობენ და ბურთის „მირთმევას“ უცდიან, უ. ზეელერი დაუღალავად მოძრაობს და მძიმე წუთებში დაცვის დასახმარებლადაც კი იხევს უკან.

ლეივერის ახალი დამარცხება

სტოკჰოლმში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში მოყვარულთა შორის. მასში ახალი მარცხი განიცადა მსოფლიოს არაოფიციალურმა ჩემპიონმა, უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულმა როდ ლეივერმა (ავსტრალია). ნახევარფინალში იგი შეხვდა და ცნობილ ჩილელ ჩოგბურთელს აიალას და წააგო 1:6, 3:6. მეორე ნახევარფინალში დიდი ინტერესი გამოიწვია ავსტრალიის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელის ემერსონის შეხვედრამ ესპანელ სანტანასთან, რომელმაც წელს გამარჯვება მოიპოვა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში (მათ რიცხვში საფრანგეთის „ღია ჩემპიონატში“). მატჩი საკმაოდ იოლად მოიგო ემერსონმა 6:3, 6:1, რომელიც აპირებს ი. კრამერის ცირკში გადასვლას.

ამგვარად, სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან აიალა (ჩილი) და ემერსონი (ავსტრალია).

რესპუბლიკის თასზე

გრძელდება რესპუბლიკის თასის გათამაშება ფეხბურთში.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „განთიადი“ და ლანჩხუთის „გურია“. ლანჩხუთელებმა პირველ ტაიმში გახსნეს ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით, მაგრამ ბათუმელებმა მეორე ტაიმში გარდატეხა შეიტანეს თამაშში და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:1.

მახარაძეში თამაშობდნენ ადგილობრივი „კოლმეურნე“ და ახალციხის № 1 შახტის გუნდი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ახალციხელებმა.

ჩვენი დედაქალაქი ტურისტული მოძრაობის ორბიტშია მოქცეული. უწყვეტ ნაკადად მოედინებიან თბილისისაკენ ზურგჩანთააკიდებული მოგზაურთა თუ ავტოტურისტთა ახალ-ახალი ჯგუფები,

თბილისის ზღვაზე, ფუნიკულორის პლატოზე, მთაწმინდასა და ნარიყალაზე, ყველგან გაისმის ფოტოაპარატის ჩხაკუნი — მოძმე შირე რესპუბლიკებისა თუ საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებს სურთ ფოტოფირზე აღბეჭდონ 1500 წლის, მაგრამ ხავსმოუკიდებელი ქალაქის წარსულის სიმშვენიერე და დიდებული აწმყო.

მრავალრიცხოვან ტურისტთა ნახვა ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებთათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ზოგიერთის ყურადღება მაინც მიიპყრო სამი მოტოციკლის გამოჩენამ თბილისის ქუჩებში. ამ მანქანებზე იყო აღნიშნული ის ქალაქები, რომლებიც მათ თბილისში ჩამოსვლამდე განვლეს.

—მოხვდე კავკასიაში და არ მოინახულო თბილისი, იგივეა — წყაროსთან მისულმა წყალი არ დალიო, ჩვენი მარშრუტი ვილნიუსიდან ერევანში მთავრდებოდა, მაგრამ თბილისის უნახავად სახლში დაბრუნება ჩვენთვის ლაც წარმოუდგენლად მივვაჩნდა. ბედნიერნი ვართ, რომ არ შევცდით მარშრუტის გადახვევაში და მანქანებზე აღნიშნულ ქალაქთა სიას მივუმატა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ქალაქთაგანი, — გვითხრა მოტო-ტურისტთა გადარბენის ხელმძღვანელმა ე. გირჩასმა.

აი ისინიც — თბილისის სტუმრები და აწ მისი გულშემატკივრები: ე. გირჩასი, ვ. ჩესნაკავიჩუსი, ს. ბოუესი, რ. კრივიცკესი და ს. გარანკასი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

მოსკოვში დაიწყება

ხუთჭიდელთა დიდი შეჯიბრება

თანამედროვე ხუთჭიდი დღეს ოლიმპიური ოჯახის კანონიერი წევრია, მაგრამ რამდენიმე თვის წინ მისი, როგორც ოლიმპიური სახეობის, არსებობა აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. საქმე იმაშია, რომ მომავალი XVIII ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორმა იაპონიამ წამოაყენა თანამედროვე ხუთჭიდის პროგრამიდან ამოღების წინადადება. ორგანიზატორთა განცხადებით იაპონიას არ შეეძლო შეჯიბრების მონაწილეთა მომარაგება ცხენების საჭირო რაოდენობით, ცხენოსნობა კი თანამედროვე ხუთჭიდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ საკითხის ირგვლივ შეუპოვარი დისკუსია გაიმართა. უნგრეთმა 100 გაწვრთნილი ცხენიც კი შესთავაზა უსასყიდლოდ იაპონიას, დახმარების სურვილი სხვა ქვეყნებმაც გამოთქვეს. ორგანიზატორებს მოპრილი აღმოუჩნდათ ყველა უკან დასახევი გზა და მათ კაპიტულაციის მეტი არაფერი დარჩათ.

თანამედროვე ხუთჭიდი სპორტის შედარებით ახალგაზრდა სახეობაა. მისი ხელმძღვანელი ორგანო — საერთაშორისო კავშირი 1949 წელს შეიქმნა. ერთი წლის შემდეგ კი სტოკჰოლმში გათამაშდა პირველი ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი. ახლა მსოფლიოს უძლიერეს ხუთჭიდელთა ტურნირი ტარდება ყოველწლიურად.

თავისი არსებობის პირველ პერიოდში თანამედროვე ხუთჭიდი შვედურ ხასიათს ატარებდა, რადგან სწორედ ამ ქვეყნის სპორტსმენები გამოდიოდნენ გამარჯვებულნი ყველა ტურნირში. უფრო მოგვიანებით წამყვანი პოზიციები ხელთ იგდეს უნგრელებმა. 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონატში პირველად გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები, მაგრამ მათი მაჩვენებლები არც თუ ისე მაღალია. ჩვენს გუნდში ყველაზე ძლიერი ხუთჭიდელი ი. ნოვიკოვი საშუალო მაჩვენებლით — 4183 ქულა, მხოლოდ ათეულში მოხვდა.

მაგრამ სპორტის ეს სახეობა საბჭოთა კავშირში აშკარად პროგრესის გზაზე იდგა და არ შეიძლებოდა ამას ნაყოფი არ გამოეღო. ერთი წლის შემდეგ მაგლინგენში საბჭოთა ხუთჭიდელი კ. სალნიკოვი გამარჯვებულთა უმაღლეს საფეხურზე დგება. თანამედროვე ხუთჭიდის ისტორიაში დაიწყო საბჭოთა სპორტსმენების ჰეგემონიის ერა. სამჯერ ზედიზედ პირველ ადგილს იღებს არმიელი ხუთჭიდელი ი. ნოვიკოვი. სამჯერ ზედიზედ გუნდურ ჩათვლაში მასი თანამემამულეები იმარჯვებენ. მაგრამ უნგრელები არ ჰყრიან ფარ-ხმალს და ისინი შესანიშნავ წარმატებას აღწევენ რომში, XVII ოლიმპიურ თამაშებზე, ორი ოქროს (პირადი და გუნდური) და ერთი ვერცხლის მედალი იმის ნიშანია, რომ თანამედროვე ხუთჭიდი უნგრეთში თავის მეორე დაბადებას ზეიმობს.

ასეთია ძალთა თანაფარდობა ხუთჭიდის ფრონტზე. შეწყვეტილი ბრძოლა ჰეგემონიისათვის განახლდება დღეს, 19 აგვისტოს მოსკოვში, სადაც მსოფლიოს უძლიერესი გუნდები და ცალკეული ხუთჭიდელები ხელახლა წამოიწყებენ სპორტულ ჭიდილს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ვაკანტური მედლებისათვის. ეს ბრძოლა იქნება თავისებურად საიუბილეო — X.

მაგრამ ყველაფერი ზემოთქმული იმას კი არ ნიშნავს, რომ მსოფლიოში მხოლოდ საბჭოთა და უნგრელი ხუთჭიდელები არსებობენ. თავიანთ მძლავრ პოზიციებს დღესაც წარმატებით ინარჩუნებენ ფინელები და შვედები. მათთან ერთად არიან ჩვენთვის კარგად ცნობილი გერმანელი, რუმინელი, ჩეხი და პოლონელი ხუთჭიდელები, მუდამ ძლიერი ამერიკელები და ევროპისათვის უცნობი, მზით გარუჯული ახალგაზრდები ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან.

ჩემპიონატის წინ უცხოეთის პრესა ყოველმხრივ ცდილობდა გამარჯვების კანდიდატთა დასახელებას. ამ პროგნოზების რეალურობაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ზედმეტია, მაგრამ მათი მხედველობაში მიღება არ იქნება ურიგო. დასავლეთის სპეციალისტები თვლიან, რომ მსოფლიო პირველობას მოიგებს 4 კაცი საბჭოთა კავშირიდან: ი. ნოვიკოვი, ბ. პახომოვი, ნ. ტატარინოვი, ა. ტარასოვი, ამდენივე უნგრეთიდან: ა. ბალცო, ფ. ნემეტი, ი. ნადი, ფ. ტერეკი. არიან კანდიდატები სხვა ქვეყნიდანაც: ტ. კარე (ფინეთი), ი. სევერგორდი (შვეცია), ჰ. ლიუდერიცი (გდრ), ნ. მარინესკუ (რუმინეთი). მაგრამ რადგანაც ოქროს მედალი ერთია, პრეტენდენტები კი უამრავი, მოსალოდნელია უაღრესად მძაფრი და საინტერესო ბრძოლა. უძლიერესთა შორის მხოლოდ ერთი, ყველაზე ძლიერი გახდება მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულის მფლობელი.

და ბოლოს, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ გავეცნობით მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიას ქრონოლოგიებსა და გვარებში:

1949 წელი. 1. ბიურეფელტი (შვეცია), გუნდური: შვეცია, ფინეთი, შვეიცარია. 1950 წ. 1. ჰალი (შვეცია), გუნდური: შვეცია, ფინეთი, იტალია. 1951 წ. 1. ჰალი (შვეცია), გუნდური: შვეცია, ფინეთი, ბრაზილია. 1953 წ. 1. ბენედეკი (უნგრეთი), გუნდური: შვეცია, არგენტინა, ჩილი. 1954 წ. 1. ტორმა (შვეცია), გუნდური: უნგრეთი, შვეიცარია, შვეცია. 1955 წ. 1. სალნიკოვი (სსრკ), გუნდური: უნგრეთი, სსრკ, შვეიცარია. 1957 1. ნოვიკოვი (სსრკ), გუნდური: სსრკ; ფინეთი, უნგრეთი. 1958 1. ნოვიკოვი (სსრკ), გუნდური: სსრკ, უნგრეთი, ფინეთი. 1959 1. ნოვიკოვი (სსრკ), გუნდური: სსრკ, ფინეთი, აშშ.

რედაქტორი ი. უგულავა

20 აგვისტო

სსრ კავშირის პირველობა
კალათბურთში
„დინამო“ (თბილისი)
სკა (რიგა)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-96.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01115